პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 221 (3198)

15 1966 წ. ნოემბერი, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 28-ე წელი

რ. კულონი: „თან მიმყვება საუკეთესო შთაბეჭდილებები“

ალბათ, გასსოვთ, რომ წლეულს, ივნისში, ამერიკის ქალაქ ტოლედოში, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე ამ ფედერაციის პრეზიდენტის, ფრანგი როჟე კულონის ინიციატივით სამბო ჭიდაობის საერთაშორისო სახეობად გამოცხადეს. ამას წინათ პრეზიდენტი სსრ კავშირში იყო, თბილისშიც ჩამოვიდა და დაესწრო სამბისტთა საკავშირო ჩემპიონატს, როგორც საპატიო სტუმარი.

— შეხვედრები საინტერესოდ და დინამიურად ჩატარდა, — თქვა ჟურნალისტებთან საუბარში რ. კულონმა.— სამბო ჭიდაობის ეროვნული სახეობების საუკეთესო თვისებათა სინთეზია. მას დიდი მომავალი აქვს, ვინაიდან ნამდვილი სპორტია.

თბილისის ცირკში ქართველმა სპორტის მოყვარულებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს უცხოელ სტუმარს, რომელიც მრავალი წელია ხელმძღვანელობს საერთაშორისო ფედერაციის საქმიანობას.

კულონი ახალგაზრდობაში თავად იყო გატაცებული ჭიდაობით. იგი სიამაყით იგონებს წლებს, როცა უმჩატეს წონაში საფრანგეთის ჩემპიონის ტიტულს ატარებდა.

მაგრამ პრეზიდენტი მხოლოდ ამჟამინდელი საქმიანობით როდი იმსახურებს პატივისცემას. ფაშიზმის ბატონობის წლებში იგი საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის აქტიური წევრი და მებრძოლი იყო.

კულონს დრო წუთობით ჰქონდა განაწილებული და მაინც პრეზიდენტმა გულდაგულ დათვალიერა თბილისი. რა თქმა უნდა, სპორტული ბაზებიც ინახულა. იგი ეწვია გორსაც, სადაც „საკუთარ თავზე“ გამოსცადა გამოჩენილი სამბისტის ა. ქიბროწაშვილის მასპინძლობა.

მოსკოვში საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს ინტერვიუ ჩამოართვა ჩვენმა კორესპონდენტმა ჯ. ხაჩიძემ.

— ჩემი მოგზაურობა ნაყოფიერი და სასარგებლო იყო, — ჯანაცხადა კულონმა. — განსაკუთრებით კმაყოფილი ვარ, რომ საშუალება მომეცა ვწვეოდი საქართველოს, რომელთანაც პირადი ბედნიერების დღეები მაკავშირებს. მან ღიმილით განმარტა ან სიტყვების მნიშვნელობა:

— ჩემი მომავალი მეუღლე გავიცანი თბომავალ „გრუზიაზე“, რომელიც 1956 წელს, მელბურნის ოლიმპიური თამაშების დღეებში, ავსტრალიის ერთერთ ნავსადგურში იდგა რეიდზე. „გრუზიაზე“ შეძენილი ჩემი მეუღლე წარმოშობით ესპანელია, მაგრამ იმ სანებში ავსტრალიაში ცხოვრობდა და თარჯიმნად მუშაობდა.

პრეზიდენტი პირადად იცნობს ბევრ ქართველ მოჭიდავეს: არსენ მეკოშვილს, გივი კარტოზიას, ვახტანგ ბალავაძეს, მირიან ცალქალამანიძეს, გიორგი სხირტლაძეს... სწორედ ამიტომ, მას დიდი სურვილი ჰქონდა ენახა ქვეყანა, სადაც ამდენი მაღალი კლასის ოსტატი აღიზარდა, სადაც ასე აფასებენ ჭიდაობას და უყვართ იგი.

— რამდენი ახალგაზრდაა თქვენში ჭიდაობით გატაცებული? — თავის მხრივ ჰკითხა კულონმა საქართველოს სამბოს ფედერაციის თავმჯდომარეს გ. ურუშაძეს.

— ჩვენში ყოველი მამაკაცი მოჭიდავეა, მათში საუკეთესოებს კი ფალავნებს ვეძახით, — იყო პასუხი.

— კარგი ნათქვამია, — გაეღიმა პრეზიდენტს. — მე მომეწონა კიდევ ერთი ქართული სიტყვა — „თამადა“, მაგრამ ეს უკვე სხვა საუბრის თემაა. ხვალ საფრანგეთს მივემგზავრები და თან მიმყვება საუკეთესო შთაბეჭდილებები. ვფიქრობ, მომავალშიც ვეწვევი თქვენს ლამაზ და კეთილშობილურ მხარეს.

• • •



სურათზე: (მარცხნიდან) რ. კულონი, სამბოს საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე ა. კულეშოვი-ნოლე და საქართველოს სპორტკავშირის საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების გამგე შ. ახვლედიანი მტკვრის სანაპიროზე.

ფოტო ჯ. ხაჩიძისა.

„ლელოს“ ინტერვიუ

ᲥᲔᲚᲘ ᲥᲐᲒᲔᲗᲘ

● *რანგშენი, 13 ნოემბერი.* აქ სტუმრად მყოფი ლენინგრადის „ზენიტის“ ფეხბურთელები მეორედ შეხვდნენ ბირმის ნაკრებს. ამჯერად, სტუმრები დამარცხდნენ — 0:2.

● **ლონდონი** (აშშ), **12 ნოემბერი.** ცხენ „ანილინზე“ ამხედრებულმა საბჭოთა ჟოკეემ ნ. ნასიბოვმა საქვეყნოდ ცნობილ დოღში „ვაშანგტონის პრიზზე“ II ადგილი დაიკავა. „ანილინმა“ სამი კორპუსით წააგო საფრანგეთის ცხენთან „ბეხისტუნთან“ (ჟოკეი ჟ. დეფორეი). 1,5 მილზე გამარჯვებულის დროა 1.28,8. ამ დოღში მონაწილეობდა 7 ქვეყნის 10 საუკეთესო ცხენი. სულ ახლახან ნასიბოვმა „ანილინზე“ კიოლნში „დიდი ევროპული პრიზი“ მოიგო.

● *ტემზის უოლტონი, 14 ნოემბერი.* ინგლისის ამ პატარა ქალაქის სტადიონზე ჯ. ჰოგანმა 30 კმ გაირბინა 1 საათში, 32 წუთსა და 25,4 წამში. ეს ახალი მსოფლიო რეკორდია და ჰოგანის თანამემამულე ტ. ჯონსონის შარშანდელ მიღწევას 9.2 წამით ჯობს. უოლტონი გრძელ მანძილებზე რბენაში რეკორდების ნამდვილ „აკვნად“ იქცა. ჯონსონმაც ხომ აქ გამოიჩინა თავი. თანაც, ვერაფრით ვერ იტყვი, რომ რეკორდსმენებს „შინაური კედლები“ დაეხმარენ. წლევანდელი გარბენი საოცრად ცუდ ამინდში გახორციელდა: სტაიერები ძლიერ ქარსა და წვიმას ებრძოდნენ. სამაგიეროდ, ძალზე მრავლისმეტყველია ახალი რეკორდსმენის ნამსახურობის სია: 34 წლის ინგლისელმა ჰოგანმა ბუდაპეშტს გამართულ ჩემპიონატში „ოქრო“ მოიხვეჭა მარათონულ რბენაში. სხვათა შორის უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორი წლის წინათ 30 კილომეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდი საბჭოთა სტაიერს ვ. ბაიკოვს ეკუთვნოდა.

● *ბუქარესტი, 14 ნოემბერი.* „ბუქარესტის თასზე“ საერთაშორისო ტრადიციულმა ტურნირმა თავი მოუყარა სსრ კავშირის, იუგოსლავიის, უნგრეთისა და რუმინეთის ხელბურთელ ქალთა ნაკრებ გუნდებს. ასპარეზობაში აგრეთვე მონაწილეობდა მასპინძელთა ახალგაზრდული კოლექტივი. პირველი მატჩი (იუგოსლავიელებთან) საბჭოთა ხელბურთელებმა წააგეს — 8:10. მათ ძალზე უხვიროდ დაიწყეს შეხვედრა და შესვენებამდე 8 ბურთი გაუშვეს, ხოლო მეტოქის კარში მხოლოდ 2 გოლის გატანა შეძლეს. მეორე ტაიმში საბჭოთა სპორტსმენები გამოფხიზლდნენ და ძლიერადაც შეუტიეს, მაგრამ უკვე გვიან იყო. იუგოსლავიელთა კარში 4 ბურთი გაიტანა ვ. ჟივიხმა (ბობროვამ). I ტურის მეორე მატჩში რუმინეთის ნაკრებმა დაამარცხა თავისი ახალგაზრდული გუნდი — 9:6.

● **მოსკოვი,** 13 ნოემბერი. დღეს აქ დამთავრდა ახალგაზრდა ძალოსანთა შეჯიბრება, რომელშიც იუნიორთათვის 2 საკავშირო რეკორდი დაამყარა დინამოელმა ვ. იაკუბოვსკიმ (მძიმე წონა). მან აიტაცა 134 და აჭარა 172,5 კგ.

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

პრიზიორთა წაგებული თამაში და... ᲑᲝᲗᲚᲔᲑᲘ

ᲞᲝᲠᲩᲣᲒᲐᲚᲘᲐ — ᲨᲕᲔᲪᲘᲐ

1 : 2

ლისაბონი, 13 ნოემბერი. პორტუგალიის დედაქალაქში „ყუმბარა გასკდა“: ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში მსოფლიოს VIII ჩემპიონატის III პრიზიორი—პორტუგალიის ნაკრები შვეიცის ეროვნულ გუნდთან დამარცხდა — 1:2. ინგლისის ტურნირის შემდეგ ეს იყო პორტუგალიელთა პირველი გამოსვლა მინდორზე.

მასპინძელთა ერთადერთი წარმატება იყო ერთი ბურთი, რომელიც ეუსებიოს გადაცემით მე-20 წუთზე გაიტანა ნახევარმცველმა გრასამ.

მაგრამ შვეიცის განახლებულმა ნაკრებმა კარგად გამოიყენა მასპინძელთა მცველებისა და ძეკარე კოსტა პერეირას უხეირო თამაში და ჯერ გაათანაბრა ანგარიში, ხოლო მატჩის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე მეორე გოლიც მოათავსა პორტუგალიელთა კარში. ორივე გოლის ავტორია ნიჭიერი ცენტრალური თავდამსხმელი, 25 წლის ი. დანიელსონი.

ეს პორტუგალიელთა პირველი დამარცხებაა თავის მინდორზე 1964 წლის შემდეგ. ამ წაგებამ ისეთი რეაქცია გამოიწვია ტრიბუნებზე, რომ აღელვებულმა გულშემატკივრებმა თავიანთ სათაყვანებელ ფეხბურთელებს უსტვინეს და ცარიელი ბოთლები დააყარეს.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲝᲠ-ᲝᲠᲘ ᲑᲣᲠᲗᲘ

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ — ᲜᲝᲠᲕᲔ�გᲘᲐ

4 : 2

სოფია, 13 ნოემბერი. ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის II შესარჩევ ჯგუფში პირველი მატჩი გამართა ბულგარეთის ნაკრებმა, რომელმაც ლევსკის სახელობის სტადიონზე დაამარცხა ნორვეგიელები — 4:2 (3:0). 2-2 ბურთის ავტორები არიან ცანევი, ეენჩევი და ნორვეგიელი ჰასუნდი.

ᲒᲣᲨᲘᲜ...

ᲥᲐᲚᲗᲐ XXVI საკავშირო ჩემპიონატის ფინალში სათამაშოდ კიევს გაფრინდნენ ე. კაკაბაძე, ნ. ალექსანდრია და მათი მწვრთნელები — ოსტატები ბ. გურგენიძე (ნ. ალექსანდრიასი), მ. შიშოვი (ც. კახაბრიშვილისა და ა. ჩაიკოვსკაისა) და ოსტატობის კანდიდატი მ. თხელიძე (ე. კაკაბაძისა). საქართველოს ჩემპიონი ც. კახაბრიშვილი და ა. ჩაიკოვსკაია კიევს ავარაკ ლეონელიძიდან ჩავლენ.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ...

◆ *მოსკოვი,* 14 ნოემბერი. საერთაშორისო შაშში XII საკავშირო ჩემპიონატში 3 ტურის შემდეგ ლიდერობს კიეველი კაპლანი. მან სამივე პარტია მოიგო (ხარკოველებთან სლობოდსკოისა და კოვრიჟკინთან და შარშანდელი პირველობის პრიზიორთან, მოსკოველ შკიტკინთან). ბოლო ტურის წინ დონეცკის ოლქის არტემოვსკის გულშემატკივრებმა თავიანთ დეპეშაში უკრაინელ მოშაშეებს სთხოვეს გაიმეორონ კიევის „დინამოს“ ფეხბურთელთა წარმატება. შესაძლოა ამან იმოქმედა უკრაინელთა თამაშზე (ჩემპიონატში ისინი ექვსნი არიან). II ადგილზეა რიგელი დიდოსტატი ანდრეიკო—2,5 ქულა. 2-2 გამარჯვება აქვთ ოდესელ კორხოვს, მოსკოველ აგაფონოვს, ლენინგრადელ მანშინსა და მინსკელ შაველს. მსოფლიოს ექს-ჩემპიონს შჩოგოლევს 1,5 ქულა აქვს. II ტურში მან წააგო შაველთან.

ᲚᲣᲒᲐᲜᲝ. აქ ჩატარდა საერთაშორისო ასპარეზობა 100 კილომეტრზე სპორტულ სიარულში. გაიმარჯვა ინგლისელმა კ. იენგმა — 9:53.03,0.



მოსკოვის ვაჭრობის მთავარმა სამმართველომ საბითუმო ბაზებთან ერთად მოაწყო დედაქალაქის საწარმოების ახალი სპორტული პროდუქციის გამოფენა.

სურათზე: ტურისტული აღჭურვილობის კუთხე.

ფოტო ვ. უნ და-სინისა (საკდესი).

წლეულსაც!

ახალგაზრდა მოჭიდავეთა საკავშირო ჩემპიონატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვესაუბრება გივი კარტოზია

კლასიკურ ჭიდაობაში ახალგაზრდა ათლეტთა საკავშირო ტურნირს საფუძველი შარშან ჩაეყარა. სპეციალისტები ამ შეჯიბრებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და ეს გასაგებიცაა. 19-22 წლის ათლეტები ჩვენი მოწინავე მოჭიდავეების უშუალო შემცვლელები არიან როგორც „შინაურ ფრონტზე", ისე საერთაშორისო სარბიელზეც, სადაც საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენლები განუზომელი ავტორიტეტით სარგებლობენ.

შარშანდელმა ტურნირმა (გომელში) ცხადყო, რომ რეზერვის საქმე სხვებზე უკეთ საქართველოშია. ჩვენმა ჭაბუკებმა გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაისაკუთრეს. ახლახან კი, კრასნოდარში, შარშანდელმა ჩემპიონებმა პირველი წარმატების კანონზომიერება დაამტკიცეს და კვლავ გაიმარჯვეს. ორჯერ ზედიზედ მოიგო ტურნირი, რომელშიც სხრ კავშირის ყველა საჭიდაო ცენტრი მონაწილეობს, უდავოდ მრავლისმეტყველი ფაქტია.

კრასნოდარიდან გამარჯვებით დაბრუნებულებს თბილისის ცენტრალურ საჭიდაო დარბაზში შევხვდით. ვესაუბრეთ ათლეტებს, მწვრთნელებს, იმათ, ვინც საკუთარ მხრებზე გადაიტანა მწვავე შეჯიბრების ბატალიები.

აი, რა გვიამბო სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გ. კარტოზიამ:

— ტურნირის შედეგებით მე და ჩემი კოლეგები — გ. ჯულუხიძე და გ. ჩიტიაშვილი, ცხადია, კმაყოფილი ვართ. გამარჯვება უყოყმანო გახლდათ. ეს, სხვათა შორის, მარტო ჩვენი აზრი როდია. ამას ერთხმად ამბობდნენ კრასნოდარში მყოფი სპეციალისტებიც და ჩვენი მეტოქეებიც.

სიტყვამ მოიტანა და გაკვრით მინდა შევეხო გუნდებს, რომელთაგანაც მძაფრ მეტოქეობას ველოდით. როსტოვის, ლენინგრადისა და მოსკოვის კოლექტივები თანაბარი სიძლიერის, მაღალი კლასის მოჭიდავეებითაა დაკომპლექტებული. მათ არც გამოცდილება აკლიათ და არც გრძოლისუნარიანობა. ჩვენი შეხვედრები ამ გუნდებთან სანახაობრივადაც საინტერესო იყო და ტექნიკურადაც დახვეწილი. მაყურებლებმა ნამდვილი სიამოვნება მიიღეს. კმაყოფილი ვიყავით ჩვენც — მწვრთნელებიც, ვინაიდან უძლიერესის ტიტული უძლიერესებთან ღირსეულ ჭიდილში მოვიხვეჭეთ.

რა უნდა ვთქვა წლევანდელ ჩემპიონზე? პირველ ყოვლისა ის, რომ წარმატებას მიაღწია კოლექტივმა, რომელიც ერთიანი ჯინითა და სულისკვეთებით იყო გაჯსჭვალული. მე ბევრ დიდ ჩემპიონატში მიჭიდავია და კარგად ვიცი კოლექტივის ერთსულოვნების ფასი. ეს უდიდესი ძალა და წარმატების საიმედო წინაპირობა გახლავთ.

მაგრამ გამარჯვების ძირითადი „მიზეზი" მაინც ათლეტთა მომზადების მაღალი დონე გახლდათ. ნათქვამის საილუსტრაციოდ ერთ დეტალს მოვიყვან: კრასნოდარში ტექნიკური ჭიდაობისთვის სპეციალური პრიზები იყო დაწესებული. და აი, ორი ასეთი ჯილდო ჩვენმა ბიჭებმა — თ. სირბილაძემ და მ. ჩიბურდანიძემ დაისაკუთრეს. იშვიათია, რომ ერთი გუნდის წევრებმა მიიღონ ასეთი საპატიო ჯილდო. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ტექნიკური ჭიდაობისთვის დაწესებული პრიზის ერთერთი მფლობელი გახდა მძიმე წონის ათლეტი (მ. ჩიბურდანიძე), წონისა, რომელიც მუდამ განიცდის ტექნიკურ მოჭიდავეთა ნაკლებობას.

საერთოდ, ჭიდაობის სილამაზე და ლაზათი ილეთთა მრავალფეროვნებაშია. გულახდილად რომ გითხრათ, ისეთ ათლეტს არ ვცემ პატივს, რომელიც ბრძოლაში რაღაც უმნიშვნელო უპირატესობას მიაღწევს, შემდეგ ყოველნაირად ცდილობს მის შენარჩუნებას და საამისოდ პასიურობასაც კი არ ერიდება. ჭიდაობამ ესთეტიური სიამოვნება უნდა მოგვაროს არა მარტო მაყურებელს, არამედ სპორტსმენსაც. არა მგონია, რომ „გაძალტყავებულ" მოგებას მორალური კმაყოფილება მოჰქონდეს გამარჯვებულისთვისაც კი.

ჩვენი გუნდი კრასნოდარში ამ მხრივაც სამაგალითო იყო, ხოლო გდებების სიმრავლით მას შეჯიბრებაში მონაწილე ყველა გუნდი, ერთად აღებულიც კი, ვერ გაუტოლდებოდა. თავად განსაჯეთ: 6 შეხვედრიდან ჩვენმა გუნდმა 4 აშკარა უპირატესობით მოიგო (15 ქულისა და მეტის უპირატესობით), მათ შორის, ერთი (ფინალში) ლენინგრადის ნაკრებთან „მშრალი" ანგარიშით.

დაბოლოს, რამდენიმე სიტყვა სპეციალური პრიზის ლაურეატებზე: თ. სირბილაძესა და მ. ჩიბურდანიძეზე. სირბილაძე, ჩემი აზრით, სწორედ ის ათლეტია, რომელზეც იტყვიან ხოლმე: ამ ახალგაზრდას დიდი მომავალი აქვსო. მისი დახვეწილი ტექნიკა, საღი ტაქტიკური აზროვნება, ძალა და გამბედაობა საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სირბილაძის სახით ჩვენ სულ მალე გვყოლება უმაღლესი კლასის ოსტატი. ეს ყმაწვილი ცხოვრებაშიც დინჯი, ჩახედული და საზრიანია, ამიტომაც დარწმუნებული ვარ, რომ ქება მასზე ცუდად არ იმოქმედებს.

ჩიბურდანიძე დღეს მძიმე წონაში ჭიდაობს, მაგრამ მისი ადგილი მაინც ქვემძიმე წონაშია. ამ ნიჭიერ ათლეტს აქ მეტი პერსპექტივაც ექნება და საშუალებაც. უეჭველია, ჩიბურდანიძე იოლად შეძლებს „აკლიმატიზაციას" ქვემძიმე წონაში და მაშინ მას „დიდ ხალიჩაზე" უმაღლესი ტიტულისკენ გზაც გაეხსნება.

* * *

ახლა კი შეჯიბრების მსვლელობის შესახებ. თბილისის გუნდმა თავის ქვეჯგუფში 4 შეხვედრა ჩაატარა: მოუგო ალმა-ათას — 20:7, კიშინიოვს — 23:5, მოსკოვის ოლქს — 24:4, მოსკოვს — 22:5. ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება თბილისელებთან ერთად მოიპოვეს მოსკოველებმა და II ქვეჯგუფში გამარჯვებულმა კოლექტივებმა — ლენინგრადისა და როსტოვისამ.

გადამწყვეტ ეტაპში ჩვენმა ნაკრებმა მხოლოდ 2 შეხვედრა გამართა (მოსკოვის გუნდთან ქვეჯგუფში გამარჯვება გადმოყვა) და ორივეში წარმატებას მიაღწია: ლენინგრადის გუნდს მოუგო ანგარიშით 24:0, ხოლო როსტოვისას — 19:7. საბოლოოდ, ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისი, 2. როსტოვი, 3. ლენინგრადი, 4. მოსკოვი.

ნ. გუგუშვილი.

* * *

სურათზე: სსრ კავშირის ჩემპიონი, თბილისის ახალგაზრდა მოჭიდავეთა ნაკრები. პირველ რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ) — ო. ტატიშვილი, ა. მირზოიანი, რ. მაილიანი, თ. სირბილაძე; მეორე რიგში—მწვრთნელი გ. ჩიტიაშვილი, გ. ბადაშვილი, ჯ. ნოზაძე, უფროსი მწვრთნელი გ. კარტოზია, გ. ჭელიძე, მ. ჩიბურდანიძე და მწვრთნელი გ. ჯულუხიძე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ფარდის დაშვების წინ

მოსწავლე-მძლეოსანთა წლევანდელი ტურნირები უფროსი ასაკის (16-17 წელი) წარმომადგენელთა რესპუბლიკური შეჯიბრებით დამთავრდა. თბილისის „დინამოს" სტადიონზე გამართული ამ ასპარეზობის ფარდის დაშვების წინ 16 წლის ნ. ზვიადაურმა (გლდანის სპორტული სკოლა-ინტერნატი) საქართველოს ჭაბუკთა ახალი რეკორდი დაამყარა — 56,83 მეტრზე ტყორცნა 800-გრამიანი შუბი.

თუმცა ნაწვიმარი იყო, ბევრმა მოსწავლემ კარგი მომზადება გამოავლინა. ორი გამარჯვება იზეიმა თბილისელმა თ. ცინცაძემ, რომელმაც ყველას აჯობა სიგრძეზე ხტომასა (649 სმ) და სამხტომში (14,02 მ). ასევე გამოიჩინა თავი ქუთაისელმა ლ. ტიტოვმა. მან მოიგო 1.500 მეტრზე წინაღობებით (4.51,5) და 800 მეტრზე (2.04,6) რბენა. ამ ორს არც ხაშურელი მ. ჟამგოჩიანი ჩამორჩა. ნიჭიერი ჭაბუკი პირველი იყო ბირთვის კვრაში (13,29 მ) და ბადროს ტყორცნაში (41,85 მ).



გოგოხებში გამოირჩეოდნენ თბილისელები ნ. ლომიძე და დ. საბაური. პირველმა მოიგო 100 და 200 მეტრზე რბენა (12,7 და 27,9), მეორემ კი ყველა ჩამოიტოვა ბადროსა და შუბის ტყორცნაში (35,95 და 34,59). უნდა მოვიხსენიოთ, აგრეთვე, მახარაძელი ზ. თავბერიძე. იგი კარგა ხანს აგებდა მეტოქეებთან, მაგრამ 1000 მეტრზე რბენაში ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა და ათჭიდში პირველობაც მოიპოვა — 4271 ქულა.

სხვა სახეობებში გაიმარჯვეს: ბოგოლებში: 400 მ რბენაში — ფ. ბიტეევამ (ცხინვალი) — 1.04,8; 80 მ თარჯრბენში — თ. რეფერტმა (თბილისი) — 12,6; სიგრძეზე ხტომაში — ნ. ბნიოტოვამ (თბილისი) — 496 სმ; სიმაღლეზე ხტომაში — ლ. ილიუშინამ — 145 სმ; ბირთვის კვრაში — დ. ლუგოვამ (ორივე — აფხაზეთი) — 10,70 მ; ხუთჭიდში — ო. კოსტრიკინამ (თბილისი) — 3295 ქულა. ჭაბუკებში: რბენაში: 100 მ — ვ. გოლეთიანმა (თბილისი) — 11,3; 200 მ — ა. ჩუბინიშვილმა (ქუთაისი) — 23,5; 400 მ — დ. კორინეევიჩმა — 53,7; 1.500 მ — ი. იაცკევიჩმა (ორივე — თბილისი) — 4.29,4; 100 მ თარჯრბენში — ა. მონშაშვილმა (ქუთაისი) — 16,4; 400 მ თარჯრბენში — გ. ემინოვმა — 1 წუთი; უროს ტყორცნაში — ი. ჩერკაშინმა — 48,78; 10 კმ სპორტულ სიარულში — ვ. ბიწკინაშვილმა — 53.40,4; ჭოკით ხტომაში — ი. ოგანეზოვმა (ყველა — თბილისი) — 340 სმ; სიმაღლეზე ხტომაში — ვ. დვოროვიმ (ცხინვალი) — 165; 3 კმ რბენაში — ვ. მაიროლიანმა (აფხაზეთი) — 10.02,0 და სხვ.

საერთო გუნდური ჩათვლა მოიგეს: I ჯგუფში — თბილისის, II ჯგუფში — მახარაძის სპორტსმენებმა. მახარაძელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათმა ექვსკაციანმა გუნდმა უფრო მეტი ქულა მოაგროვა, ვიდრე I ჯგუფში მონაწილე სამხრეთ ოსეთის საკმაოდ დიდმა კოლექტივმა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთ სახეობაში მონაწილეთა მაჩვენებლები მეტად დაბალი იყო. მაგალითად, ქუთაისელმა ნ. ალათაევმა ბადრო 28,66 მეტრზე ძლივს გადააგდო, ხოლო მისმა თანაგუნდელმა ო. ხარკომელიძემ 1.500 მეტრის გარბენას 5 წუთზე მეტი მოანდომა. მცირე იყო 80 და 400 მეტრზე თარჯრბენის, 1.500 მეტრზე წინაღობებითა და 3 კილომეტრზე რბენის მონაწილეთა რიცხვი.

ვ. ბუკია.

* * *

სურათზე: ათჭიდში გამარჯვებული ზ. თავბერიძე ტყორცნის შუბს.

ფოტო ავტორისა.

ცეცხლის ხაგვე

სოხუმელი ტყვიის მსროლელების საქალაქო შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ „სოხუმხელსაწყოს", ფიზიკო-ტექნიკური ინსტიტუტის, ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის, მე-3 ავტოსატრანსპორტო კანტორის, ლუდის ქარხნის, ქალაქის სახანძრო დაცვის და სხვათა გუნდები. ორდღიან ასპარეზობაში გაიმარჯვეს კულტურისა და დასვენების პარკის სპორტსმენებმა. ვაჟთა პირად ტურნირში ყველას აჯობა მ. ალექსანდროვსკიმ (ფიზიკო-ტექნიკური ინსტიტუტი), ხოლო ქალებში — ლ. ალიხანოვამ (სახანძრო დაცვა).

ვ. ქობალია.

სოხუმი.

სადღაა მასობრიობა?!

ოქტომბრის ზეიმის წინა ღღეებში თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ფიზკულტურულ კოლექტივს ვეწვიე. ვფიქრობდი, დიდი რეოლუციური ტრადიციის მქონე, დღესაც მოწინავე კოლექტივი მასობრივ-სპორტულ მუშაობაშიც არ შეირცხვენდა თავს და დღესასწაულისთვის რაიმე კარგს დაგწერ მეთქი. მართლაც, ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოში მითხრეს, რომ ქარხნის მრავალრიცხოვან კოლექტივში ყოველი მეორე კაცი ფიზკულტურელიაო. დასაწყისი კარგი იყო, მაგრამ შემდეგ, როცა საქმის არსს ჩავწვდი, როცა საამქროთა ფიზორგებთან, სპორტსმენებთან და ზოგიერთ სხვა მუშაკთან ვისაუბრე, ახვა გამოირკვა:



ვ. ტარასოვი (სამგზავრო ვაგონების საამქროს ფიზორგი): ჩვენი საამქროს ფიზკულტურელები მთელს ქარხანაში საუკეთესონი არიან. წლევანდელ სპარტაკიადაშიც დავამტკიცეთ ეს. ვ. ალავერდოვმა სასტენდო სროლაში საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა და სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა, ნ. ძამუნაშვილი მოშაშეთა რესპუბლიკური პირველობის პრიზიორია. გვაქვს ფეხბურთის, ფრენბურთის, ჭადრაკის, შაშისა და მაგიდის ჩოგბურთის სექციები. საწარმოო ტანვარჯიშის საქმეც კარგად გვაქვს.

მართლა ყველაფერი ასეა? არა. ამ საამქროში მხოლოდ ფეხბურთის სექცია მუშაობს ნაყოფიერად და გამუდმებით.

ზ. აბუთიძე (ორთქლმავალ-ამწყობი საამქროს ტენდერების განყოფილების ფიზორგი): ჩემს ჯგუფში 45 კაცია, მათგან ექვსი (!) სპორტსმენია — ყველა ფეხბურთელი. ხანდახან შტანგასაც გავეთამაშებით ხოლმე, — შესვენებისას ვეჯიბრებით ერთმანეთს. ბიჭებს სროლისა და ძალოსნობის სექციაში უნდათ მეცადინეობა, მაგრამ ფიზკულტურის საქარხნო საბჭო თავს მაინცდამაინც არ იწუხებს.

...ჩვენ კი გვითხრეს ქარხანაში ყოველი მეორე კაცი სპორტსმენიაო. ფიზკულტურის ინსტრუქტორმა მ. გოგელიამ ისიც თქვა, ძალოსნობის, ჭიდაობის, ველოსპორტის, ტურიზმის, ფეხბურთის, სროლის სექციები გვაქვს, ჩვენმა ძალოსნებმა „ლოკომოტივის" ცენტრალური საბჭოს პირველობაში V ადგილი, ხოლო სასტენდო სროლაში II ადგილი მოიპოვეს. ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებლებს მართლაც ჰყავთ რამდენიმე კარგი ათლეტი, მაგრამ ეს გვიკვირს, საგზაო საბჭოს ნაკრები გუნდების წარმატებას რად იჩემებენ?

მ. ციცვიძე (საქარხნო კომიტეტის წევრი, სპორტის ოსტატი): სამჭედლო, სადაც მე ვმუშაობ, კომუნისტური შრომის საამქროს სახელს ატარებს. 80 კაცი ვართ, სპორტს კი მხოლოდ ოთხი მისდევს. არ გეგონოთ, რომ ჩვენს ახალგაზრდობას ფიზკულტურა არ უყვარს. პირიქით, მაგრამ მხარდაჭერა გვაკლია. ძალოსნები, მაგალითად, დიდი ხანია მოვითხოვთ თავშესაფარს, სამეცადინო ადგილი კი ვერსად გამოგვიძებნეს.

ჩვენ დავუმატებთ, — ქარხანაში წლეულს დაიშალა საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანთა ჯანმრთელობის ერთადერთი ჯგუფი, რომელიც სულ ოცოდე კაცს აერთიანებდა.

საცოდავი სანახავია აქაური ფრენბურთის მოედანი, ქვასა და რკინას ვერ აუჭცევ ფეხს. კალათბურთის მოედანს ბალახი მოსდგომია, ერთ ფარზე კალათი აღარაა, ეტყობა საქარხნო სპარტაკიადის მერე აქ ფეხი აღარავის დაუდგამს. რაღაენიმე ნიჩბოსანიც ჰყავთ, მაგრამ მაშველი ინვენტარი არ გააჩნიათ და ვინაიდან უამისოდ თბილისის ზღვაზე ვარჯიშის უფლებას არ აძლევენ, არალეგალურად ვარჯიშობენ.

აი, მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობისა და გამაჯანსაღებელი საქმისთვის „ხრუშევის" კიდევ ერთი საუკეთესო ნიმუში: ლენინის რაიონის ჯანმრთელობის სპარტაკიადაში ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებლები შვიდის მაგიერ მხოლოდ ორ სახეობაში გამოვიდნენ.

ეს ყველაფერი ქარხნის ფიზკულტურელებისთვის ახალი ამბავი არ გახლავთ. მაგრამ იციან თუ არა ამ სავალალო მდგომარეობის შესახებ ქარხნის დირექტორმა გ. მაცაბერიძემ, პარტორგმა ზ. გიგაურმა, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ა. სამანიშვილმა, კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა რ. გაჩეჩილაძემ? გვითხრეს: იციან, მაგრამ საამისოდ არა სცალიათო...

საქართველოს საიუბილეო სპარტაკიადა კი ცხრა მთას იქით როდია. ესეც არ იყოს, ფიზკულტურასა და სპორტზე უკეთ რა უწყობს ხელს შრომის ნაყოფიერების ამაღლებას?!

ვ. ბუკინი.

მარცხენა გარემარბის შემყურე...

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 13 ნოემბერი.
„დინამო“ (თბილისი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 1:1 (0:0).
„დინამო“: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, რეხვიაშვილი, შერგელაშვილი, პეტრიაშვილი, ხართიშვილი, ილიადი, დათუნაშვილი, მეტრეველი, იამანიძე, მესხი.
„ჩერნომორეცი“: იარჩუკი, ცუნინი, სირომიატნიკოვი, ზაბოლოტნი, სოლოდკი, მოსკალენკო, დერიაბინი, ბაზილევიჩი, მიროშინი, ლობანოვსკი, საკი (არხიპენკო).
მაჯი ლ. სარჭისოვი (სოჭი).

ახლადეთ ცხრილს და თქვენთვის წამსვე ნათელი გახდება, თუ რა მნიშვნელობა აქვს თბილისის „დინამოსთვის“ თვითეულ მატჩს, თვითეულ ქულას. დაახლოებით 8 გუნდი იბრძვის საიმისოდ, რომ მოხვდეს ხუთეულში და ამ ამოცანის შესასრულებლად ყოველ მათგანს განსხვავებული შანსები გააჩნია: ზოგი ქულითაა წინ, ზოგს მარაგში აქვს თამაშები და მათი „სისრულეში მოყვანით“ აპირებს მდგომარეობის გამოსწორებას.

ჩვენს გუნდს, თუ მას სერიოზულად აქვს განზრახული წავიდეს წინ — ხუთეულისკენ, ქულათა საჭირო ბაზის შესაქმნელად, პირველ ყოვლისა, ესაჭიროება სწორედ ისეთი გუნდი, როგორიცაა ოდესის „ჩერნომორეცი“. საკუთარ მინდორზე მატჩი „ჩერნომორეცთან“ წინასწარ იგეგმება 2 ქულით, ამასთან, გეგმის ერთ-ერთ პუნქტს წარმოადგენს რევანშის აღების ბუნებრივი სპორტული გრძნობა პირველ წრეში განცდილი დამარცხებისთვის.

თბილისელებმა ვერც რევანშის აღება შეძლეს და ვერც ის ქულები ჩაიწერეს, რომლებიც მათ ახლა ესოდენ სჭირდებათ და დამნაშავე ამაში, რა თქმა უნდა, თვითონ გუნდია. „ჩერნომორეცს“ ისეთი არაფერი უჩვენებია, რომ მისი დამარცხება შეუძლებელი საქმე ყოფილიყო. პირიქით.

პირველი ტაიმის მიხედვით, დინამოელთა მიმართ პრეტენზიები ბევრი არაფერი გვაქვს. გუნდმა კარგ ტემპში დაიწყო შეტევა და მას შემდეგ, როცა გამოირკვა, რომ მესხი მარცხენა ფრთაზე აკეთებდა ყველაფერს, რაც მას მოესურვებოდა ცუნინისა და სირომიატნიკოვის მიმართ, საიერიშო აქცენტი ძირითადად ამ ფლანგზე გაკეთდა. ანგარიშის გახსნა შეიძლებოდა უკვე მე-3 წუთზე: ხართიშვილმა აუტიდან მიაწოდა ბურთი იამანიძეს, ამას მოჰყვა გადაცემა ცენტრში და დათუნაშვილმა წამით ვერ მიუსწრო მას კარიდან რამდენიმე მეტრის სიახლოვეს.

მასპინძელთა შეტევებში, როგორც წესი, მონაწილეობდნენ განაპირა მცველები სიჭინავა და პეტრიაშვილი, განსაკუთრებით — ეს პირველი. ოდესელთა საჯარიმო მოედნის ახლოს სისტემატურად გადიოდნენ ნახევარმცველები, მესხის მხრივ გადაცემა გადაცემას მოსდევდა და იარჩუკს სამუშაო, როგორც იტყვიან, კისრამდე ჰქონდა. ყველაზე წყნარ და უშფოთველ ადგილად მთელი ტაიმის განმავლობაში რჩებოდა ურუშაძის კარი.

მართალია, თბილისელებმა შესვენებამდე ვერ შეძლეს ანგარიშის გახსნა, მაგრამ ასეთ სიტუაციაში სტუმრები დიდხანს ვერ შეძლებდნენ თავიანთი კარის უხიფათობის დაცვას, ამიტომ გოლის გატანას მაყურებლები ელოდნენ შესვენების შემდეგ, მეორე 45 წუთში.

და აი, მეტოქეები კვლავ გამოვიდნენ მინდორზე, მაგრამ დინამოელთა თამაშში ადრინდელის ნასახიც კი არ დარჩა. ყოველად გაუგებარი, გაუმართლებელი მიზეზით გუნდმა შეტევას გამორთო თავისი ყველაზე სახიფათო და აგრესიული თავდამსხმელი მესხი. იგი მიივიწყეს და იერიში თანდათან დავიდა სრულ უმოქმედობამდე. სუსტად ითამაშა თავდასხმის ცენტრალურმა წყვილმა — მეტრეველმა და იამანიძემ, რომელთა ინერტულობისა და ხშირი შეცდომების წყალობით შეძლო „ჩერნომორეცმა“ გარდატეხის შეტანა მატჩის მსვლელობაში. მოჩვენებით აქტიურობას იჩენდა დათუნაშვილი, მაგრამ შეტევის დროს იგი თვალს არ ადევნებდა მოპირდაპირე მცველების განლაგებას და სისტემატურად რჩებოდა თამაშგარე მდგომარეობაში.

გადამწყვეტი სიტყვა ისევ მესხმა თქვა. მან კვლავ ითავა თამაშის გაძღოლა და ხელახლა შეიტანა არეულობა „ჩერნომორეცის“ რიგებში, მაგრამ პარტნიორებმა მას მხარი არ აუბეს და მთელი თავდასხმა თავისი მარცხენა გარემარბის შემყურე დარჩა.

გოლი 78-ე წუთზე იქნა გატანილი მესხის შესანიშნავი გარღვევის შემდეგ. მან ბურთი ცენტრში გადასცა და მეტრეველმა ოსტატური დარტყმით გაგზავნა იგი ბადეში — 1:0.

გამარჯვება, თუნდაც ასეთი ცუდი თამაშის შემდეგ, თითქოს გარანტირებული იყო, მაგრამ თბილისელებმა ვერ შეინარჩუნეს იგი. 3 წუთის შემდეგ ბაზილევიჩმა მარჯვენა ფრთიდან ცენტრში მიაწოდა ბურთი, სადაც სრულიად უმეთვალყურეოდ დარჩენილი აღმოჩნდა ლობანოვსკი. „დინამოს“ ხუთ მცველს შორის მყოფმა ორმა ოდესელმა კარის აღებით დაამთავრა ეს შეტევა — 1:1. ასე დაიკარგა ქულა.

რ. ჟორჟიძე.



სურათზე: კარგი თამაშით გამოიჩინა თავი ოდესის „ჩერნომორეცის“ მეკარე ა. იარჩუკმა. იგი ეუფლება მაღალ ბურთს.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.

ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲒᲘ, ᲑᲝᲚᲝᲩᲔᲒᲘ, ᲙᲐᲢᲝᲩᲙᲘᲡᲔᲑᲘ

განვლილი კვირადღე სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის დღე იყო.

დონეცკის „შახტიორმა“ თავის მინდორზე მიიღო მოსკოვის „სპარტაკი“. ამ მატჩში მასპინძლებმა ვერ გაიტანეს ვერც ერთი გოლი, თუმცა ანგარიში იყო 2:1 სპარტაკელთა სასარგებლოდ. „შახტიორის“ კარში 2 ბურთი გაიტანეს ოსიანინმა და ჰუსაინოვმა, ხოლო სპარტაკელთა მცველმა შეშჩერიაკოვმა 1 ბურთი საკუთარ კარში გაგზავნა.

მოსკოვის ტორპედომ ლ ე ბ მ ა „მშრალად“ დაამარცხეს ალმა-ათის „კაირატი“ — 3:0. ანგარიში გახსნა სტაფეროვმა, მეორე ბურთი გაიტანა სტრელცოვმა, ხოლო შესვენების შემდეგ მესამე — ბრედნევმა.

ფერგანაში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „დინამო“ და ოდესის არმიელთა გუნდი. აქ ანგარიში არ გახსნილა — 0:0.

„Ა“ ᲙᲚᲐᲡᲘ I ᲯᲒᲣᲤᲘ

„დინამო“ (კიევი)	31	21	9	1	61—12	51
ასკ (როსტოვი)	35	19	7	9	52—43	45
„ნეფტჩანიკი“ (ბაქო)	33	16	8	9	51—27	40
ცსკა	33	16	7	10	59—43	39
„ტორპედო“ (მოსკოვი)	32	15	8	9	51—32	38
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	32	13	11	8	40—35	37
„დინამო“ (თბილისი)	33	12	12	9	41—30	36
„დინამო“ (მოსკოვი)	34	12	12	10	41—32	36
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	32	10	16	6	33—27	36
„შახტიორი“ (დონეცკი)	34	15	6	13	32—33	36
„ალანია“ (ალმა-ათა)	34	12	10	12	28—36	34
„დინამო“ (მინსკი)	35	10	13	12	34—38	33
„არარატი“ (ერევანი)	35	11	10	14	28—45	32
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	35	9	13	13	28—36	31
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	36	10	8	18	35—54	28
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	35	11	4	20	33—48	26
„არ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	35	4	16	15	18—40	24
„ტორპედო“ (ქუთაისი)	31	8	7	16	36—52	23
ასკ (ოდესა)	33	1	11	21	15—53	13

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲣᲛᲐᲦᲔᲡᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ

მდგომარეობა 15 ნოემბრისათვის

ᲠᲝᲪᲐ „ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ-ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛᲘ“ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ...

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 13 ნოემბერი.
„ტორპედო“ (ქუთაისი) — ასკ (როსტოვი) 0:0.
„ტორპედო“: კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წვერავა, ზარია, ძოძუაშვილი, სიმაშვილი, კუტივაძე, ერქომაიშვილი, ჩხარტიშვილი, გ. წოდია, ახალაშვილი (ხერხაძე).
ასკ: ივანოვი, გეტმანოვი, აფონინი, კაზაჩოკი, კრივობოროდოვი, კუჩინსკასი, ბუროვი, ჩერტკოვი, კოპაევი, ესკოვი, მატვეევი.
მაჯი მ. ამბარცუმიანი (ერევანი).
დუბლიორები — 2:1 ქუთაისელთა სასარგებლოდ.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ტორპედოელებს კარგა ხანია შესრულებული აქვთ თავიანთი „პროგრამა-მინიმუმი“: ისინი „ა“ კლასის I ლიგის ბინადარნი არიან საგაისოდაც. ამიტომ მათ სრული შესაძლებლობა აქვთ იზრუნონ სწორედ მომავლისთვის, ე. ი. შეარჩიონ ახალი მოთამაშეები, მათი განლაგება, აწარმოონ ექსპერიმენტები...

რაც შეეხება როსტოვის არმიელებს, ისინი გადაუდებელი ამოცანის წინაშე იმყოფებიან: იბრძვიან ვერცხლის მედლებისთვის. ამგვარი რამ პირველია როსტოველთა გუნდის არსებობის ისტორიაში და ცხადია, კოლექტივი მთელ თავის ძალებს აქსოვს ამ ამოცანის შესრულებას.

ყოველივე ამას გარკვეული დაღი უნდა დაემჩნია განვლილი მატჩისთვის. ყოველ შემთხვევაში, როსტოველებს მეტი სტიმული ჰქონდათ ებრძოლათ გამარჯვებისთვის, მაგრამ პირიქით მოხდა. პირველი 10 წუთის ურთიერთდაზვერვის შემდეგ ხანგრძლივ იერიშზე გადავიდნენ ტორპედოელები, რომელთა შორის ეწერგიული, კარგი თამაშით გამოირჩეოდა ნახევარდაცვის ხაზი. „ტორპედომ“ ერთსულოვნად, გაშლილი ფრონტით შეუტია და სათანადო უნდა მიეზღვა როსტოველთა დაცვას, რომელმაც შეძლო გამკლავებოდა ამ ძლიერ დაწოლას. რამენიმე ძალიან ძნელი ბურთის აღება მოუხდა ივანოვს. მეკარემ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი, როცა კუტივაძის მიერ დარტყმული უძნელესი ბურთი აიღო.

ინიციატივა მასპინძლებს ეპყრათ მეორე ტაიმშიც, ბურთის გატანის საუცხოო შესაძლებლობა ჰქონდათ ერქომაიშვილს და ნოდიას, მაგრამ ივანოვმა კვლავ ისახელა თავი.

როსტოველებმა მხოლოდ ბოლო 15 წუთის მანძილზე შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება. თამაშმა ტორპედოელთა მხარეს გადაინაცვლა, მაგრამ სასურველ შედეგს ვერც II ადგილის პრეტენდენტებმა მიაღწიეს და შეხვედრა ფრედ დამთავრდა.

შ. ნიჟარაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

• • •

სურათზე: ს. კუტივაძე უტევს მეტოქის კარს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

(ჩვენი სპეც. კორ.).

ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲒᲖᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

დასასრულს უახლოვდება „ა“ კლასის II ჯგუფის ქვეჯგუფებში გამარჯვებული გუნდების ტურნირი. როგორც ცნობილია, საგაისოდ სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში უნდა გადავიდეს 1 გუნდი და ამ ერთადერთი საგზურისთვის ახლა მიმდინარეობს დაძაბული ბრძოლა ლუგანსკის „ზარიას“, ვილნიუსის „ჟალგირისსა“ და ტაშკენტის ოლქის „პოლიტოტდელს“ შორის.

გუშინწინ ტაშკენტში ერთმანეთს შეხვდნენ „პოლიტოტდელი“ და „ჟალგირისი“. ეს მატჩი მოიგეს სტუმრებმა —1:0.

სადღეისოდ „ზარიასა“ და „ჟალგირისს“ დაგროვილი აქვთ ქულათა თანაბარი რაოდენობა — 5. მაგრამ „ჟალგირისმა“ უკვე დაამთავრა ტურნირი, ხოლო ლუგანსკელებს სათამაშო აქვთ „პოლიტოტდელთან“. საკმარისია ამ მატჩის ფრედ დამთავრება და გაისად „ა“ კლასის I ჯგუფში ოდესის არმიელთა გუნდის ნაცვლად ითამაშებს ლუგანსკის „ზარია“.



უსიტყვოდ...

ნახ. გ. კაკაბაძისა.

ᲤᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

ᲯᲔᲠᲯᲘᲚᲘ

ქ. ორჯონიკიძეში დამთავრდა „ბ“ კლასის რსფსრ-ს უძლიერესი გუნდების ტურნირი.

კალუგის „ლოკომოტივმა“ ბოლო მატჩი მოუგო ტულის „მეტალურგს“ (3:0) და დაიკავა I ადგილი. გამარჯვებული გუნდის წევრები დაჯილდოვდნენ ოქროს მედლებით.

ვერცხლის მედლებისთვის ბრძოლა წარმოებდა ადგილობრივ „სპარტაკსა“ და ნოვოროსიისკის „ცემენტს“ შორის. სპარტაკელებმა მოიგეს მატჩი (2:0) და გახდნენ II ადგილის მფლობელები. კალუგის „ლოკომოტივი“ და ორჯონიკიძის „სპარტაკი“ გაისად ითამაშებენ „ა“ კლასის II ჯგუფში.



ᲞᲠᲘᲛᲐ-ᲒᲐᲦᲔᲠᲘᲜᲐᲡ ᲛᲐᲓᲚᲝᲒᲐ

საწოლიდან წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა და ექიმს, რომელიც დაკვირვებით ადევნებდა თვალს, ალერსიანი ღიმილით მიმართა:

—გმადლობთ, დიდად გმადლობთ, ექიმო. დღეს ვიცმკვეთ ისე, როგორც არასდროს!

ფრანგული ბალეტის პრიმა, პარიზის გრანდ-ოპერას სოლისტი ეთერ ფაღავა ეს რამდენიმე ხანია საგასტროლოდ ეწვია ჩვენს დედაქალაქს. ჯერ პარიზში, გასტროლებისთვის მზადებამ და მერე თბილისში ზედიზედ გამართულმა სპექტაკლებმა გადაღალა მსახიობი. გადაღლას კი მარცხენა კოჭ-წვივის სახსრის დაჭიმულობა მოჰყვა.

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების საექიმო ფიზკულტურის დისპანსერის თანამშრომლებმა და მთავარმა ექიმმა ზ. თელიამ უნარი არ დაიშურეს, რათა ძვირფას სტუმარს დახმარებოდნენ. და აი, ეთერი კვლავ თავისუფლად, ძველებურად ამოძრავებს მარცხენა ფეხს.

ბ. ᲓᲝᲚᲔᲜᲯᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ზ. თელია (მარცხნიდან პირველი) და ექიმი თ. ქუთათელაძე ეთერ ფაღავასთან.

ფოტო ავტორისა.

▲ ᲐᲗᲔᲜᲘ. როგორც ცნობილი გახდა, საბერძნეთის მთავრობამ ლონდონის ერთ-ერთ ფირმას სთხოვა დაადინანსოს და ათენის კვარტალ კალოგრაცსში ააღოს 100-ათასიანი სტადიონი, სადაც გაიმართება ევროპის მძლეოსანთა 1969 წლის ჩემპიონატი.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲑᲝᲚᲘᲕᲘ ᲛᲝᲠᲘᲮᲐᲓᲔᲡ

როგორც ცნობილია, XVII საჰადრაკო ოლიმპიადის ფინალის II ტურში ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი არ გამოცხადდა სსრ კავშირთან სათამაშოდ, რისთვისაც მსაჯთა კოლეგიამ მას წაგება (0:4) ჩაუთვალა. საქმე ის იყო, რომ ამერიკელთა ლიდერმა რ. ფიშერმა წინა დღით მოითხოვა მისი შეხვედრა ტ. პეტროსიანთან 2 საათის დაგვიანებით დაეწყოთ (ეს გამოწვეული იყო რელიგიური მოსაზრებით). მაგრამ ოლიმპიადის მთავარმა არბიტრმა შაიტარმა (ჩეხოსლოვაკია) ფიშერის მოთხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებლად მიიჩნია და ამერიკელს უარი უთხრა. და აი, პროტესტის ნიშნად, აშშ-ის გუნდი (რ. ფიშერი, რ. ბირნი, ჰ. ბენკო, ნ. როსლიმო) საერთოდ არ მოვიდა სათამაშოდ, მაშინ, როცა შეეძლო ფიშერი სათადარიგო წევრით შეეცვალა და მატჩიც გაიმართებოდა.

ამ უსიამოვნო ინციდენტმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ამერიკელებს ყველანი ამტყუნებდნენ და ამბობდნენ, ეს არასპორტული საქციელიაო.

უკმაყოფილო ამერიკელებმა განცხადება შეიტანეს მსაჯთა კოლეგიაში, მაგრამ მან არ დაკმაყოფილა მოთხოვნა — დაენიშნათ მატჩი. მაშინ შეერთებული შტატების გუნდმა სთხოვა ფიდე-ს პრეზიდენტ ფ. როგარდს ამ საკითხის მოგვარება. პრეზიდენტმა თავისი პასუხით ყველა გააოცა. მან წინადადება მისცა მსაჯთა კოლეგიას გაუთამაშებელი მატჩი ყაიმით (2:2) დამთავრებულად ჩაეთვალა. რა თქმა უნდა, ამ წინადადებამ მხოლოდ ღიმილი გამოიწვია. მაშინ ამერიკელებმა საარბიტრაჟო კომისიას მიმართეს. კომისიამ სწორად ცნო მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება და უარყო პროტესტი. დარჩა ერთი გამოსავალი: ამერიკელთა გუნდის კაპიტანი რ. ბირნი ბოდიშით ეწვია საბჭოთა მოჭადრაკეებს.

იმის გამო, რომ სსრ კავშირ—აშშ-ის გუნდების მატჩი უდიდეს სპორტულ ინტერესს იწვევს, საბჭოთა მოჭადრაკეები დათანხმდნენ ამერიკელებთან შეხვედრას.

VI ტურის შემდეგ სასტუმრო „ჰავანა ლიბრეს“ ვესტიბიულში პრეს-კონფერენციაზე სახელდახელოდ შეიკრიბენ ოლიმპიადის ყველა 52 გუნდის კაპიტანი და პრესის წარმომადგენლები. როცა ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ხ. ბეტანკურმა საბჭოთა გუნდის გადაწყვეტილება გამოაცხადა, ყველამ ტაში დასცხო. საბჭოთა გუნდს ვადაეცა კუბის ეროვნული დროშა, როგორც უძლიერეს კოლექტივს ოლიმპიადაში.

ეს ამბავი ჰოელ ჰავანას მოედო. საბჭოთა გუნდის სასელზე წამოვიდა დეპეშები. წერდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მეცნიერები, სტუდენტები, მუშები, გლეხები... კუბელები ესალმებოდნენ საბჭოთა მოჭადრაკეებს და შემდგომ ბრძოლებში წარმატებებს უსურვებდნენ.

ჰავანის გაზეთები „გრანმა“, „მუნდო“ და სხვები აღნიშნავენ საბჭოთა დიდოსტატების დიდსულოვნებას, კეთილშობილურ სპორტულ საქციელს. „საბჭოთა კავშირის მოჭადრაკეებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ისინი მსოფლიოს სპორტში უძლიერესნი არიან“, „სსრ კავშირის თანხმობა — ითამაშოს მატჩი აშშ-ის გუნდთან — კუბელებისა და მათი მთავრობის მხრივ ოლიმპიადის ბოლო დიბისა და ჩატარების დამსახურების აღნიშვნის გულწრფელი ჟესტია“, „ამ ჟესტს არასოდეს დავივიწყებთ“, წერენ გაზეთები.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘ, ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ, ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘ

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝᲐ ᲰᲔᲠᲡᲢᲘ

ᲣᲐᲒᲐᲗᲐ ინგლისის ჩემპიონატის მორიგი ტურის ცენტრალური მოედანი იყო ლონდონის გუნდების — „ტოტენჰემ ჰოტსპურისა“ და „ვესტ ჰემ იუნაიტედის“ შეხვედრა. პირველი ტაიმი მოიგო „ვესტ ჰემმა“ — 3:2. განახლდა თუ არა თამაში, „ტოტენჰემის“ გარსკვლავმა გრიფსმა კარს აცდინა 11-მეტრიანი საჯარიმო. ამის შემდეგ მისმა კოლეგამ გილზინმა მაინკ მოახერხა ანგარიშის გათანაბრება — 3:3. მატჩის ბოლო წუთებზე „ვესტ ჰემის“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა ჰერსტმა შეძლო გადამწყვეტი გოლის გატანა — 4:3.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ შინ დაამარცხა „შეფილდ უენსდეი“ — 2:0. გოლები გაიტანეს ბ. ჩარლტონმა და ჰერდმა.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ჩელსი“ — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ 1:0, „ბერნლი“ — „საუთჰემპტონი“ 4:1, „ევერტონი“ — „არსენალი“ 0:0, „ფულჰემი“ — „ასტონ ვილა“ 5:1, „ლიდს უნაიტედი“ — „ლეისტერ-სიტი“ 3:1, „ნიუკასლ იუნაიტედი“ — „ლივერპული“ 0:2, „ნოტინგემ ფორესტი“ — „სანდერლენდი“ 3:1, „შეფილდ იუნაიტედი“ — „ბლეკპული“ 1:1, „სტოკ-სიტი“ — „მანჩესტერ-სიტი“ 0:1.

ჩემპიონატის სნაიპერთა სიას 18 გოლით ლიდერობს „ვესტ ჰემის“ ფაღამსხმელი ჰერსტი.

ი, ლიდერთა სამეულიც:

	თ.	ბ.	ქ.
„ჩელსი“ (ლონდონი)	16	33:17	23
„მანჩესტერ იუნაიტ.“	15	30:21	21
„ლივერპული“	16	28:23	21

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ (სპ. ინფ.)

ᲬᲘᲜ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲒᲚᲐᲖᲒᲝᲔᲚᲔᲑᲘ

ᲣᲝᲚᲒᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ჩემპიონატის X ტურში მორიგი გამარჯვება მოიპოვა გლაზგოს „სელტიკმა“, რომელმაც გასვლით მატჩში დაამარცხა „ფრულერკი“ — 3:0.

„გლაზგო რეინჯერსმა“ ქულა დაკარგა „სენტ-ჯონსტონთან“ — 1:1. აი, დანარჩენი შედეგებიც: „ეირდრიონიენსი“ — „სტერლინგ ალბიონი“ 7:0, „ეირ იუნაიტედი“ — „დანდი“ 1:1, „კლაიდი“ — „ჰიბერნიენი“ 5:1, „დანდი იუნაიტედი“— „კილმარნოკი“ 1:1, „ჰარტ ოვ მიდლოტიენი“ — „დანფერმლაინ ატლეტიკი“ 1:1, „პარტიკ თისტლი“ — „მადერუელი“ 2:2, „სენტმირენი“ — „აბერდინი“ 1:3.

გათამაშებას ლიდერობენ „სელტიკი“ (19 ქულა) და „გლაზგო რეინჯერსი“ (16).

„Ა. ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲢᲐᲚᲐᲜᲢᲘᲐ“

ᲖᲐᲒᲠᲔᲑᲘᲡ „სპორტსკე ნოვოსტიმ“ დაბეჭდა დიდი სარედაქციო მიმოხილვა, სადაც ლაპარაკია ჩოგბურთელთა წლევანდელ შეჯიბრებებზე. მიმოხილვის ავტორის აზრით, თანამედროვე ჩოგბურთში ბევრი საუცხოო ოსტატია, მაგრამ „ერთმპყრობელი“ არა ჩანს—დღევანდელი ლიდერების კლასი დაახლოებით თანაბარია.

თუ ავსტრალიის ჩემპიონატი მოიგო ემერსონმა, საფრანგეთის ღია ჩემპიონატში პირველი იყო როჩე (ავსტრალია), უიმბლდონში (ინგლისის ღია ჩემპიონატი) — ესპანელი სანტანა, ფორესტ-ჰილში (აშშ-ის ღია ჩემპიონატი) — ავსტრალიელი სტოლე. ასეთივე მდგომარეობაა ქალებშიც. სიდნეიში (ავსტრალიის ღია ჩემპიონატი) გაიმარჯვა სმითმა (ავსტრალია), საფრანგეთის ჩემპიონატში — ჯონსმა (ინგლისი), უიმბლდონში — მოფიტ-კინგმა (აშშ) და ფორესტ-ჰილში — ბუენომ. ასე რომ, განაგრძობს მიმოხილვის ავტორი, — წლეულს ძალიან გაჭირდება უძლიერესთა ათეულების შედგენაო.

21 წლის ტონი როჩეს მიმომხილველი „ემერსონის შემკვიდრეს“ უწოდებს. როჩემ წლეულს მოიგო ოთხი დიდი საერთაშორისო ტურნირი (მექსიკაში, იტალიაში, საფრანგეთსა და ჩეხოსლოვაკიაში). საუცხოო ოსტატები არიან, მაგრამ როჩეს რამდენადმე ჩამოუვარდებიან ავსტრალიელები ფრედ სტოლე, ოუენ დევიდსონი და ჯონ ნიუკომბი.

ევროპელ ჩოგბურთელთაგან მიმოხილვის ავტორი მოიხსენიებს უიმბლდონში გამარჯვებულ მანუელ სანტანას (ესპანეთი): „28 წლის სანტანა მეტად მარჯვე, შემოქმედი ჩოგბურთელია და არა ზუსტი მანქანა“.

ალექსანდრე მეტრეველზე იგი წერს: „წლევანდელ სეზონში პირველხარისხოვან ევროპელ ოსტატთა შორის საპატიო ადგილი დაიმკვიდრა მეტრეველმა, რომლის დიდმა ტალანტმა საყოველთაო აღიარება ჰპოვა“. ქართველი ჩოგბურთელის უდიდეს მიღწევად წერილის ავტორი თვლის მის გამარჯვებას შვეიცის ღია ჩემპიონატში.

წლევანდელ ტრიუმფატორთაგან მოხსენებული არიან, აგრეთვე, ამერიკელები დენის რალსტონი და არტურ აში, უნგრელი იშტვან გუიაში.

გათანაბრდა მოწინავე ჩოგბურთელ ქალთა თამაშის კლასიც. ახლა უკვე საყოველთაოდ ცნობილ მარგარეტ სმითისა (ავსტრალია) და მარია ესთერ ბუენოს (ბრაზილია) გარდა „უმაღლეს კლასს“ უნდა მივაკუთვნოთ ბილი-ჯინ მოფიტ-კინგი (აშშ), ანა ჯონსი (ინგლისი) და ნანსი რიჩი (აშშ).

თუ აქამდე ყველა ძირითად ტურნირში ავსტრალიელები ეუფლებოდნენ პირველობას, ამიერიდან, მიმომხილველის აზრით, მათ სულ უფრო მეტი და მეტი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდებათ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ეს ახალგაზრდები მაზურის ტბასთან მიყვანას თხოულობენ.

ფოტო ცაფ-საკდესისა.

ᲰᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲰᲐᲕᲐᲜᲐ, 14 ნოემბერი. XVII საჰადრაკო ოლიმპიადაში პირველად დამარცხდნენ აშშ-ის სპორტსმენები. VIII ტურში ისინი შეხვდნენ იუგოსლავიელებს და წააგეს — 1,5:2,5. პირველი ქულა გუნდს შესძინა ბ. ივკოვმა, რომელმაც კარგად გამოიყენა ამერიკელი რ. ბირნის შეცდომები დებიუტში და უკვე მე-20 სვლაზე დააყრევინა მეტოქეს ფარ-ხმალი. შესვენებამდე ძნელ მდგომარეობაში გადასდო პარტია ვ. ადისონმა იუგოსლავიელ ვ. მატულოვიჩთან და შემდეგ იგი წააგო კიდეც. ძლივს მიაღწია ყაიმს ამერიკელმა პ. ბენკომ ა. მატანოვიჩთან. მხოლოდ რ. ფიშერმა დაამარცხა ს. გლიგორიჩი. ამერიკელთა გუნდი სატურნირო ცხრილში მაინც II ადგილზეა.

საბჭოთა დიდოსტატები გდრ-ის მოჭადრაკეებს შეხვდნენ. ბ. სპასკიმ (შავებით) იოლად გაათანაბრა თამაში ვ. პიტჩთან და მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. მალე ასევე დაზავდნენ ბ. მალიხი და ლ. პოლუგაევსკი. ვ. კორჩნოიმ მოუგო რ. ფუქსს. შესანიშნავად ითამაშა ტ. პეტროსიანმა ვ. ულმანთან. მაგრამ გერმანელმა დიდოსტატმა გონებამახვილური დაცვით შეინარჩუნა ყაიმის შანსები და პარტიის განახლებისას მიაღწია კიდეც მას. ამრიგად, გაიმარჯვეს საბჭოთა დიდოსტატებმა — 2,5:1,5.

დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: უნგრეთი — დანია 3,5:0,5, არგენტინა — ჩეხოსლოვაკია 2:2, რუმინეთი — ბულგარეთი 2,5:1,5, ნორვეგია — კუბა 2:1 (1 პარტია გადადებულია), ესპანეთი—ისლანდია 2,5:1,5.

VII ტურის მატჩი არგენტინა — ბულგარეთი პირველის გამარჯვებით დამთავრდა — 2,5:1,5.

IX ტურში 5-საათიანი ბრძოლის შემდეგ სსრ კავშირ — უნგრეთის მატჩში მხოლოდ 1 შედეგი აღინიშნა: ბ. სპასკი (შავებით) ყაიმზე შეუთანხმდა უნგრეთის არაერთგზის ჩემპიონს ლ. პორტიშს. მ. ტალ—ლ. საბოს, ი. ბილეკ—ლ. შტეინისა და ვ. კორჩნოი — ლ. ლენდიელის პარტიები გადაიდო.

ამ ტურის დანარჩენ შეხვედრებში ასეთი ანგარიშია: აშშ — არგენტინა 1,5:0,5 (2), იუგოსლავია — კუბა 2:1 (1), ისლანდია — რუმინეთი 1:0 (3), ბულგარეთი — ჩეხოსლოვაკია 2:1 (1), გდრ—ესპანეთი 0:0 (4), დანია—ნორვეგია 1:0 (3).

9 ტურის შემდეგ მთავარ ფინალურ ტურნირში დაწინაურებული გუნდების მდგომარეობა ასეთია: სსრ კავშირი — 22,5 ქულა (3), აშშ—22 (2) (ამ გუნდებს გაუთამაშებელი მატჩი აქვთ ერთმანეთში), იუგოსლავია — 22 (1), უნგრეთი — 20,5 (3), ჩეხოსლოვაკია—20 (2), არგენტინა — 19,5 (2), ბულგარეთი — 19 (1), რუმინეთი — 17 (3).

ხვალ შედგება ერთ-ერთი საინტერესო მატჩი სსრ კავშირისა და აშშ-ის მოჭადრაკეთა შორის.

პოლონელ ტურისტებში, სპორტსმენებსა და მხარეთმცოდნეებში დიდი პოპულარობით სარგებლობს „ავტოსდექი.“ „ავტოსდექის“ სპეციალური წიგნაკებისა და ტალონების შემწეობით, მათ საითაც სურთ შეუძლიათ იმოგზაურონ ტრანსპორტის ნებისმიერი სახეობით.

ᲘᲜᲓᲔᲚᲘ 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 8 უე 12106

რედაქტორი მ. ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ.